# აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტროს მიერ 2019 წელს დევნილთა მიმართ ეკონომიკური, სოციალური რეაბილიტაციისა და სხვა კუთხით გატარებული ღონისძიებების შესახებ

## ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

2020 წლის 01 იანვრის მდგომარეობით, საქართველოში რეგისტრირებულ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ დევნილთა საერთო რაოდენობა შეადგენს 247035 პირს. (დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართ # 1-ში).

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის 31 ივლისის #8 დადგენილებით დეპარტამენტის დებულებაში შევიდა ცვლილება და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის უფლებამონაცვლედ განისაზღვრება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტრო.

სამინისტრო თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ხელმძღვანელობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ 2019 წლის 31 ივლისის №18 დადგენილებით დამტკიცებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტროს დებულებით, წლიური სამოქმედო გეგმით და სხვა ნორმატიული აქტებით. მისი მუშაობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სამთავრობო თუ არასამთავრობო, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა; დევნილთა ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებში საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლა, დროებითი საცხოვრებელი ფართების რეაბილიტაციაში კომპეტენციის ფარგლებში დახმარების გაწევა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში სარემონტო აღდგენითი სახის სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფა. უცხოეთიდან დაბრუნებულ აფხაზეთის მკვიდრთათვის დევნილის სტატუსის აღდგენა-მინიჭებაში ხელშეწყობა, დევნილების მოქალაქეობრივი ინტერესებისა და კანონიერი უფლებების დაცვა, აფხაზეთის მთავრობისა და მის შემადგენლობაში შემავალი დაწესებულებების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობა და ა.შ. გარდა ამისა, სამინისტროს აკისრია შემდეგი ფუნქციები:

- ახორციელებს ზედამხედველობას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის რეგიონალურ წარმომადგენლობებზე (სულ **4** დაწესებულება), მართავს და მონიტორინგს უწევს მათ მიერ გაწეულ მუშაობას;

- აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობებთან კოორდინაციით, ორგანიზებულად ჩასახლებულ დევნილთა პრობლემების შესახებ არსებული ინფორმაციის გაანალიზებითა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებთან მუშაობის გააქტიურებით, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

შესაბამის სამსახურებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მუდმივი კონტაქტითა და ერთობლივ მუშაობაზე დაყრდნობით, პრობლემების გადაჭრისათვის აუცილებელი წინადადებების შემუშავება;

- დევნილ სოციალურად დაუცველ და სხვა კატეგორიებზე ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა;

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა შიდა მიგრაციის თაობაზე ინფორმაციის მოძიება და მონაცემთა სრული კომპიუტერიზაციის უზრუნველყოფა და სხვა.

დებულების შესაბამისად, სამინისტროში დამტკიცებულია **38** საშტატო ერთეული, მათ შორის - **4** სახელმწიფო პოლიტიკური პირი. ძირითადი მიმართულებებიდან და განსაზღვრული ფუნქციებიდან გამომდინარე ამოცანების შესასრულებლად სამინისტროში ფუნქციონირებს **3** პირველადი სტრუქტურული ერთეული (დეპარტამენტი-2, სამსახური-1) და **6** მეორადი სტრუქტურული ერთეული, რომელთა ფუნქციები გაწერილია სამინისტროს დებულებაში.

საანგარიშო პერიოდში სამინისტროს საქმიანობა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, იყო საკმაოდ დატვირთული და მრავალფეროვანი. სამინისტროს მონაწილეობით დევნილთა მიმართ 2019 წელს გატარებული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

- 8 იანვარს დეპარტამენტის თავმჯდომარესთან შედგა სამუშაო შეხვედრა აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელებთან. შეხვედრაზე განხილულ იქნა აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობების მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში, ასევე მოისმინეს ინფორმაცია წარმომადგენლობებში მოქმედი კომისიების მიერ გაწეული და მიმდინარე საქმიანობის შესახებ და სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის 2018 წლის შედეგების და 2019 წლის საგაზაფხულო გაწვევის მოსამზადებელი სამუშაოების შესახებ. დაიგეგმა სარემონტო აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად ელექტრონული ტენდერის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მოსამზადებელი ღონისძიებები.

- 8, 15 და 16 იანვარს, 15 მაისს და 27 ივნისს დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, საკურატორო სფეროს მიხედვით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში მოქმედ კომისიებთან, სადაც დაისახა 2019 წელს ამ კომისიების საქმიანობის მიმართულებები და სტრატეგიები, მოსმენილ იქნა ინფორმაციები კომისიების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

- 8, 9 და 24 იანვარს, 16 -17 მაისს და 28-30 ივნისს დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირები სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონებში განსახლებულ დევნილებთან შეხვედრებზე. მათი პრობლემური საკითხების დაფიქსირებისა და კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტის მიზნით.

- 2019 წლის 25 იანვარს დეპარტამენტის თავმჯდომარესთან შემდგარ სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ აფხაზეთის იუსტიციის დეპარტამენტის თავმჯდომარე, აფხაზეთის მთავრობის აპარატის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი, აფხაზეთის მთავრობის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებთან ურთიერთობის და სოციალურ საკითხთა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის იურიდიული კადრებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი, დეპარტამენტის

თავმჯდომარის უფროსის მოადგილეები და სამმართველოს უფროსი. სამუშაო შეხვედრაზე დაიგეგმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში სარემონტო აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებელი საორგანიზაციო ღონისძიებები.

- 11, 12, 13 და 19 თებერვალს დეპარტამენტის თავმჯდომარემ მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის ა.რ მთავრობის გასვლით სხდომებში, სადაც მოსმენილ იქნა აფხაზეთის ა.რ სამთავრობო სტრუქტურების მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია და დაისახა 2019 წლის სამოქმედო გეგმები.

- 2019 წლის 15 თებერვალს, იმერეთის რეგიონში აფხაზეთის ა.რ მთავრობის წარმომადგენლობაში სამუშაო შეხვედრა გამართეს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ და აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობების მართვის, კოორდინაციისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსმა. შეხვედრაზე მოსმენილ იქნა წარმომადგენლობაში მოქმედი კომისიების მუშაობის ანგარიშები და 2019 წლის სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევასთან დაკავშირებული პრობლემები.

- 20 და 21 თებერვალს, დეპარტამენტის სამმართველოს და თავმჯდომარის აპარატის ხელმძღვანელმა პირებმა მონაწილეობა მიიღეს ქ.ფოთში განსახლებულ დევნილთა საბჭოს მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში, ასევე შეხვდნენ ორგანიზებულად ჩასახლებულ დევნილებს.

- 7 და 8 მარტს, საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას 75 წლისთავისადმი მიძღვნილ სხვადასხვა ღონისძიებაში ქ.თბილისში, ქუთაისსა და სენაკში აქტიური მონაწილეობა მიიღეს დეპარტამენტის ხელმძღვანელმა პირებმა და თანამშრომლებმა.

- 21 მარტს, დეპარტამენტის თავმჯდომარემ მონაწილეობა მიიღო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გამართულ დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებული დროებითი საექსპერტო ჯგუფის შეხვედრაში. შეხვედრაზე დევნილთა გრძელვადიანი განსახლების გეგმასა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამებზე იმსჯელეს. საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ შეხვედრის მონაწილეებს ახალი საგრანტო პროგრამის კონცეფცია წარუდგინა, რომლის თანახმად დევნილებზე, რომლებსაც სახელმწიფოს მიერ ,,სოფლად სახლის'' პროგრამის ფარგლებში შეძენილი აქვთ სახლთან ერთად საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების გრანტები გაიცემა.

- 25 აპრილს, აფხაზეთის ა/რ მთავრობის მიერ ორგანიზებულ აქცია ,,ვიზრუნოთ ერთმანეთზე" ფარგლებში დეპარტამენტის თანამშრომლების მონაწილეობით, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ სხვადასხვა კატეგორიის დევნილ ოჯახებს გადაეცათ სააღდგომო ნობათი.

- 6 მაისს, აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარესთან ერთად, დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირები ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ დევნილებს შეხვდნენ. ადგილზე გაეცნენ მათ საცხოვრებელ პირობებს და არსებული პრობლემები მოისმინეს. შეხვედრებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ

- 2019 წლის 17 მაისს ქ. ზუგდიდში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ ობიექტებში სარემონტო-აღდგენითი სახის სამუშაოების განმსაზღვრელი კომისიის გასვლითი სხდომა გაიმართა, სადაც განხილულ იქნა დარგობრივი სპეციალისტების მიერ წარმოდგენილ და შესწავლილ ობიექტებში ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია და მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები.

- 24 მაისს აფხაზეთის ა/რ დევნილთა საქმეების დეპარტამენტში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში სარემონტო-აღდგენითი სახის სამუშაოების განმსაზღვრელი კომისიის მორიგი სხდომა გაიმართა, სადაც განხილულ იქნა სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით ორგანიზაციული საკითხები. სხდომას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი რუსლან აბაშიძე და წარმომადგენლობების ხელმძღვანელები დაესწრნენ.

კომისიის სხდომის შემდეგ, აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის და წარმომადგენლობების ხელმძღვანელების მონაწილეობით შედგა სამუშაო შეხვედრა დეპარტამენტის თავმჯდომარესთან. სამუშაო შეხვედრაზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობებში და დევნილთა საქმეების დეპარტამენტში გასატარებელი რეორგანიზაცია-ოპტიმიზაციის სამოქმედო გეგმა და წვევამდელთა გაწვევის მიმდინარეობასთან დაკავშირებული ხარვეზები და მათი აღმოფხვრის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები.

-31 მაისს კახეთის რეგიონში  და 12-13 ივნისს იმერეთის რეგიონში შედგა დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირების სამუშაო შეხვედრა დევნილ მოსახლეობასთან, სადაც ყურადღება გამახვილდა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით დევნილი ოჯახების უზრუნველყოფის საკითხზე.

- 19 ივლისს, სამინისტროში ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში სარემონტო-აღდგენითი სახის სამუშაოების ჩატარების წესის'' შესაბამისად, იმერეთსა და აჭარაში დევნილთა ჩასახლების ობიექტების ადგილზე შესწავლის შედეგად შერჩეული ობიექტების სარეაბილიტაციო გეგმების შესასრულებელი სამუშაოების მოცულობასა და ხარჯთააღრიცხვის შესახებ იმსჯელეს. სხდომას მინისტრი, მინისტრის მოადგილეები და სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების განმსაზღვრელი კომისიის წევრები ესწრებოდნენ.

-  4 აგვისტოს  მინისტრთან გამართულ სამუშაო შეხვედრაზე განხილულ იქნა აფხაზეთის ა/ რ იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტროს მიერ შემუშავებული საპილოტე პროექტი, რომელიც ითვალისწინებს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ ობიექტებზე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბებაში ხელშეწყობასა და ფინანსურ მხარდაჭერას.

- საანგარიშო პერიოდში სამინისტროში მიმდინარეობდა ესპანურ საქველმოქმედო ფონდ ,,ფინსოლ“- თან აფხაზეთის ა/რ მთავრობის მიერ დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საზაფხულო არდადეგების პერიოდში ქ. მადრიდში მოხალისე ოჯახებში აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების გამგზავრებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზება, გატარება და ბავშვების გაცილება. ესპანეთში ორთვიანი საზაფხულო არდადეგების შემდეგ, აფხაზეთიდან დევნილი სოციალურად დაუცველი და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები 20 ბავშვი 2019 წლის 28 აგვისტოს სამშობლოში დაბრუნდა. თბილისში მათ დახვდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა- დევნილთა მინისტრის მოადგილე, სამინისტროს თანამშრომლები და მშობლები.

- დევნილთა ჩასახლების ობიექტებში სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტრომ 2019 წლის ივლისიდან სექტემბრამბრის ჩათვლით გამოაცხადა 5 ელექტრონული ტენდერი 9 ობიექტზე. ტენდერები გამოცხადდა ქალაქებში: თბილისი, ზუგდიდი, ქობულეთი, ქუთაისი, ხონი ასევე ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაწყარსა და დაბა ჩაქვში. ხელშეკრულება დადებულია გამარჯვებულ კომპანიებთან და მიმდინარეობს სამუშაოები.

- 2019 წლის 12-14 სექტემბერს ქ. ზუგდიდში, ხუბულავას ქუჩა #14-ში, აღმაშენებლის # 222-ში და სოფ ჭითაწყარში არსებულ დევნილთა ობიექტებში მდგომარეობის შესწავლის მიზნით იმყოფებოდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადადგილებულ პირთა-დევნილთა მინისტრის მოადგილე, სამინისტროს თანამშრომელი და სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების განმსაზღვრელი კომისიის წევრი.

- 19 სექტემბერს სენაკში, სამტრედიის ქუჩაზე მდებარე ყოფილი პროფტექსასწავლებლის მე-2-ე კორპუსში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემების გაცნობისა და მათი გადაწყვეტისთვის შესაბამისი რეკომენდაციების მომზადების მიზნით, ობიექტზე იმყოფებოდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა სამინისტროს სარემონტო-აღდგენითი სახის სამუშაოების განმსაზღვრელი კომისიის წევრები, მათ შორის დარგის მოწვეული სპეციალისტები. კომისიამ ადგილზე შეისწავლა არსებული მდგომარეობა და სამინისტროში წარმოადგინა შესაბამისი რეკომენდაციები. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ჩართულობით პრობლემების აღმოფხვრაზე.

- 20-22 სექტემბერს ქ. ბათუმში დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში საპილოტე პროექტის “ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ ფარგლებში კოლექტიური ცენტრების ამხანაგობის თავჯდომარეებთან საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგი გაიმართა. ტრენინგს ესწრებოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მინისტრის მოადგილე. დევნილებს ასევე

მიეწოდათ ინფორმაცია იმ სერვისების და პროგრამების შესახებ, რომელსაც ადგილობრივი მუნიციპალიტეტი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ახორციელებენ. ამხანაგობების თავმჯდომარეებს „საქართველოს კანონი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ (კანონის კონსოლიდირებული ვერსია) დაურიგდათ. პროექტი აფხაზეთის მთავრობის ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით და იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა"-ს პარტნიორობით განხორციელდა.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტროს, ინსტიტუციური ცვლილების, სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის, დაწესებულების მისიის თავსებადი სტრუქტურული წყობისა და ფუნქციების, საჯარო მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობების ახლებური განსაზღვრისა და ჩამოყალიბების მიზნით, 2019 წლის ივლისის თვიდან მიმდინარეობდა რეორგანიზაციის პროცესი, რომელიც დასრულდა მიმდინარე წლის 01 ოქტომბერს.

-2019 წლის 15 ოქტომბერს მინისტრის პირველი  მოადგილე აფხაზეთის ა.რ მთავრობის წევრებთან ერთად ქ. ბათუმში ფერიის საჯარო სკოლის მოსწავლეებსა და აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას შეხვდა. მთავრობის წარმომადგენლები აფხაზური ენის გაკვეთილს და სკოლის მოსწავლეების მიერ აფხაზურ ენაზე შესრულებულ ლიტერატურულ პერფორმანსს დაესწრნენ. ამასთან ერთად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ სკოლას საჩუქრად წიგნები, ოკუპირებულ აფხაზეთში არსებული კულტურული მემკვიდრეობის რუკები და სპორტული ინვენტარი გადასცა.
ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლები კახაბრის №34-ში (ყოფილი ნარკოლოგიურის შენობა) მდებარე აფხაზეთიდან დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებაში იმყოფებოდნენ, სადაც აფხაზეთის მთავრობის ადგილობრივ ხელისუფლებასთან შუამდგომლობის საფუძველზე, დასუფთავების და სადეზინფექციო სამუშაოები ჩატარდა და საკანალიზაციო ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა.

2019 წლის ოქტომბრის თვიდან  სამინისტრო აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს უფასო სამართლებრივ კონსულტაციებს სთავაზობს. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტროს დევნილთა საქმეების დეპარტამენტის სამართლებრივი დახმარების განყოფილება დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან (აფხაზეთიდან) იძულებით გადაადგილებულ პირებს სთავაზობს ადვოკატირებას, რომელიც მოიცავს უფასო სამართლებრივი ხასიათის კონსულტაციების გაწევას და შესაბამის ორგანოებში წარსადგენად დოკუმენტაციის მომზადებაში ხელშეწყობას შემდეგ საკითხებზე:

- საარქივო დოკუმენტაციის მოძიება;
- სასამართლოში წარსადგენი განცხადების/სარჩელის მომზადება;
- შრომითი სტაჟის დადგენა;
- ქორწინების ფაქტის დადგენა;
- პირის გარდაცვლილად/უგზოუკვლოდ გამოცხადება;
- მხარდამჭერის სტატუსის მოპოვება;
- საქართველოს მოქალაქეობასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები;
- დევნილთა მიმართ სამართლებრივი საკითხების მოწესრიგება გრძელვადიანი უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში;
- დევნილთა მიმართ სხვადასხვა სახის სამართლებრივი საკითხები:

-2019 წლის 12 დეკემბერს მცხეთის რაიონის სოფ. ძველი ქანდის საჯარო სკოლაში მემორიალური კუთხე გაიხსნა, რომელიც ეძღვნებოდა იმავე სკოლის მასწავლებელს, აფხაზეთის ომში დაღუპულ ალექსანდრე ( სანდრო) ვაჩეიშვილს. გასული საუკუნის 90-იან წლებში იგი მოხალისედ იბრძოდა ჯერ სამაჩაბლოში, შემდეგ კი აფხაზეთში. ალექსანდრე ვაჩეიშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა სახელმწიფო მედლით ,,მხედრული მამაცობისთვის“ ღონისძიებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მინისტრის მოადგილეები და ომის ვეტერანები დაესწრნენ.

- 2019 წლის 29 დეკემბერს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტროს თანამშრომლებმა საქველმოქმედო აქციაში „ვიზრუნოთ ერთმანეთზე“ მონაწილეობა მიიღეს.სადღესასწაულო ნობათები მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს, 90 წელს გადაცილებულ პირებს, აფხაზეთის ომის I ჯგუფის ინვალიდებს, შშმ არასწრულწლოვანებს და მრავალშვილიან ოჯახებს გადაეცათ.

-2019 წლის 30 დეკემბერს სამეგრელოს რეგიონში ფოთისა და სენაკის მუნიციპალიტეტებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ ორგანიზებული საქველმოქმედო აქცია „ვიზრუნოთ ერთმანეთზე“ გაიმართა. სადღესასწაულო ნობათები გადაეცათ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ, სოციალურად დაუცველ ოჯახებს.საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადადგილებულ პირთა-დევნილთა მინისტრის პირველმა მოადგილემ.

„სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2019 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვრის №12 და „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2019 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 აგვისტოს №360 დადგენილებების შესრულების ფარგლებში, წარმოგიდგენთ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების შესაბამისი სამსახურების მიერ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ წვევამდელთა სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის შესახებ ინფორმაციას **(დანართი2, 3)**.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 21 იანვრის №3 დადგენილების შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებში შექმნილია ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით, ერთჯერადი დახმარების გამცემი კომისიები'', რომლის უფლებამოსილებასაც განეკუთვნება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით („აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-13 მუხლის 2.1. პუნქტით განსაზღვრული კატეგორიის მქონე ბენეფიციარები) დადგენილი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილ, სოციალურად დაუცველ კატეგორიებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის ორგანიზება. როგორც მოგეხსენებათ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით, სოციალური პროექტების დაფინანსება, სოციალური დახმარების კუთხით გაიზარდა. კერძოდ, 2018 წელს თანხა შეადგენდა **541 100** ლარს, მატებამ შეადგინა **83 900** ლარი და 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები განისაზღვრა **625 000** ლარით. წარმოგიდგენთ, 2019 წლის სტატისტიკურ მონაცემებს **(დანართი 4,5).**

უნდა აღინიშნოს რომ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სახის სამუშაოების ჩატარების პროგრამის განხორციელებით, შესაძლებელი გახდა დევნილთათვის გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სახის სამუშაოების ჩატარება, რაც ჯამში ხელს უწყობს მათი საყოფაცხოვრებო პირობების მცირედით გაუმჯობესებას. მაგრამ, ერთ საცხოვრებელ ობიექტზე, წარმომადგენლობებში არსებული პროგრამით, გამოყოფილი თანხა (არაუმეტეს **800** (რვაასი) ლარი), რომელშიც გათვალისწინებულია, როგორც დამქირავებლის ანაზღაურება, ასევე სარემონტო სამუშაოებისათვის საჭირო მასალის ღირებულება, ვერ უზრუნველყოფს დევნილთა წინაშე მდგარი პრობლემის ძირეულ მოგვარებას, რადგან საცხოვრებელი ობიექტების უმრავლესობა საჭიროებს მეტი ფინანსური სახსრების მიმართვას, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო ბიუჯეტით. უნდა აღინიშნოს, რომ პროექტით განსაზღვრული მიზნების ეფექტურად და ოპერატიულად რეალიზებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ გრძელდება პროგრამის განხორციელება არსებული ფორმით, თუმცა, შემცირებული ასიგნებებით (2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით წარმომადგენლობებში გათვალისწინებულია **23 500** ლარი).
წარმოგიდგენთ „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სახის სამუშაოების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 21 იანვრის N4 დადგენილების შესრულების მიზნით, საანგარიშო პერიოდში იგპ-თა მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართებში მცირე სარემონტო სამუშაოების დაფინანსების პროგრამის („აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-13

მუხლის 2.3. პუნქტი) ფარგლებში წარმომადგენლობების შესაბამისი კომისიების მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციას **(დანართი6);**

ამასთანავე, ზემოთაღნიშნული პროგრამის ეფექტურობის გათვალისწინებით, ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში <u>სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარების</u> უზრუნველყოფის მიზნით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ, 2019 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტით ინიცირებულ და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პროგრამის მოცულობის ზრდის შესახებ, რაც შესაბამისად აისახა კიდეც დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ასიგნებებში **150 000** ლარის ოდენობით. შედეგად, „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის 2.4. ქვეპუნქტით *გათვალისწინებული* აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში სარემონტო სახის სამუშაოების ჩატარების *უზრუნველყოფის (პროგრამული კოდი 11 02)* მიზნით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტრომ, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ელექტრონული ტენდერის მეშვეობით, განახორციელა სარემონტო აღდგენითი სამუშაოებისა და მომსახურებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვები **(დანართი 7);**.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საანგარიშო პერიოდში, დეპარტამენტის მიერ ინიცირებულ და შესაბამისად, აფხაზეთის მთავრობის მიერ მიღებულ იქნა რიგი სამართლებრივი აქტები-დადგენილებები, კერძოდ:

1. ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 7 ნოემბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის 28 თებერვლის N7 დადგენილება, რაც დევნილთათვის გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში სარემონტო სამუშაოს ჩატარების საშუალებას იძლევა. აღნიშნული გახდა საფუძველი დეპარტამენტში კომისიის შექმნის, კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების და განისაზღვრა სხვა პროცედურული საკითხები.
2. „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში სარემონტო-აღდგენითი სახის სამუშაოების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის 28 თებერვლის N8 დადგენილება, რომლითაც განისაზღვრა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში სარემონტო-აღდგენითი სახის სამუშაოების ჩატარების წესი და პროცედურები. კერძოდ, კომისიის შექმნა, კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება და სხვა პროცედურული საკითხები რამაც მოგვცა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ელექტრონული ტენდერის სწორად დაგეგმვისა და გამოცხადება/ჩატარების საშუალება.
3. შედეგად:

   ა) *აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2019 წლის 18 მარტის N03-ძ/ს გრძანებით შეიქმნა „აფხაზეთის*

*ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში სარემონტო-აღდგენითი სახის სამუშაოების განმსაზღვრელი კომისია". ამასთანავე, ზემოაღნიშნული პროგრამის განხორციელების მიზნით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებში შეიქმნა შესაბამისი სამუშაო ჯგუფი/ჯგუფები.*

*გ)* აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში სარემონტო-აღდგენითი სახის სამუშაოს/სამუშაოების შესყიდვის მიზნით, *აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2019 წლის 08 ივლისის N12-ძ/ს ბრძანებით კი შეიქმნა* სატენდერო კომისია.

*საპილოტე პროგრამის სწორად და მიზნობრივად განხორციელების მიზნით,* ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის მუნიციპალიტეტების პოზიცია ჩვენს მიერ დაგეგმილი სოციალური პროგრამების შესახებ, რათა არ მომხდარიყო დუბლირება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების უწყებებსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტით დაფინანსებული სოციალური პროექტების განხორციელების პროცესში. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების შერჩეულ, ასევე დევნილთა საინიციატივო ჯგუფების (შექმნილი ამხანაგობების) მიერ მოწოდებულ საცხოვრებელ ობიექტებში სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების პროგრამის განხორციელების დაწყებამდე და შესაბამისი კომისიის საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე წერილობით მივმართეთ:

ა) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სადაც ვითხოვდით კონკრეტული საცხოვრებელი შენობების მდგრადობის, მასში ჩატარებული ან/და ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების, საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის ან/და დევნილთა ალტერნატიული ფართის შეთავაზების შესახებ ინფორმაციას. ამასთანავე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები ხომ არ ექვემდებარება გამოსახლებას, მათ შორის სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე.

ბ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს'', რათა მიგვეღო ინფორმაცია წარმოდგენილი საცხოვრებელი ობიექტების შესახებ (ხომ არ იგეგმება ობიექტის გასხვისება, დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემა, ხომ არ მოდის წინააღმდეგობაში სააგენტოს პოზიციასთან მითითებულ ობიექტებში სარემონტო სამუშაოების განხორციელება და ა.შ).

გ) კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, ასევე მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი თვითმმართველობის მუნიციპალიტეტების პოზიციაც შენობებში ჩატარებული ან განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ.

როგორც მოგეხსენებათ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მაძიებელი) პირთა ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი

კომისიების საქმიანობა წარიმართება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 20 აპრილის N15 დადგენილებითა და აღნიშნულ სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობით, რომლითაც რეგულირდება კომისიის შექმნის წესი და პროცედურები, განცხადების განხილვის ვადები, გადაწყვეტილების მიღების ფორმა და მისი გასაჩივრების მექანიზმი. წარმოგიდგენთ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მაძიებელი) პირთა ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიების“ მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციას **(დანართი 8).**

დევნილის სტატუსთან დაკავშირებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან შემოსულია **37** მომართვა **44** პირის მიმართ, რომელთაგან დადებითი დასკვნა გაიცა **32** განცხადებაზე **39** პირის მიმართ, უარყოფითი - **2** ერთეული **2** პირის მიმართ, გადამისამართებულია/შეჩერებულია ადმინისტრაციული წარმოება - **1** მიმართვა **1** პირის მიმართ, განხილვის პროცესშია **2** მიმართვა **2** პირის მიმართ. აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ ინფორმაციას ( დანართი#9)

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები - პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირების ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და საცხოვრებელი ადგილის დადგენის წესი“-ს შესაბამისად (ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მინისტრის 2019 წლის 4 ოქტომბრის №29-ძ/ს ბრძანება), ნეიტრალური მოწმობის/ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მისაღებად, ასევე, საქართველოს მოქალაქეობის ან/და დევნილის სტატუსის აღსადგენად/მისანიჭებლად, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროგრამებისა და ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზოდ მიმოსვლის შესახებ მიღწეული გადაწყვეტილების შედეგად, იმატა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსულ პირთა კომისიებისადმი მომართვიანობამ, რაც თავის მხრივ მისასალმებელი ფაქტია. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით, მინისტრის ბრძანებისა და აღნიშნულ სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობით, რეგულირდება კომისიების შექმნის წესი და პროცედურები, განცხადების განხილვის ვადები, გადაწყვეტილების მიღების ფორმები და მისი გასაჩივრების მექანიზმები.

დევნილთა მიერ წარმოდგენილი განცხადებებიდან, საკითხები ძირითადად შეეხებოდა დევნილთა გრძელვადიანი უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში, საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების მოთხოვნას, რომლის საფუძველზე, სამართლებრივი დახმარების განყოფილება ამზადებდა სასამართლოში წარსადგენ ადმინისტრაციულ სარჩელებს და ადმინისტრაციულ ორგანოებში წარსადგენ განცხადებებს. საანგარიშო პერიოდში დევნილთა მხრიდან სულ შემოვიდა **57** განცხადება. აქედან, 43 ეხებოდა დევნილთა გრძელვადიანი უზრუნველყოფის ფარგლებში, საცხოვრებელი ფართის მიღებას, ხოლო 14 განცხადება ეხებოდა დევნილის სტატუსის მინიჭებას, შრომითი სტაჟის დადგენას და უდავო წარმოების წესით, სასამართლოში წარსადგენი განცხადებების მომზადებას, ასევე, აღიარებითი სარჩელების შედგენა/მომზადებას. აფხაზეთის ა/რ მთავრობის მიერ დაგეგმილი გასვლით ღონისძიებების ფარგლებში, სამართლებრივი კონსულტაციის გაწევისას დევნილ მოსახლეობას ასევე დაურიგდათ ფლაერები, რომელშიაც გაწერილია თუ რა სახის სამართლებრივ კონსულტაციას სთავაზობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტრო აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტროს ინიციატივით, მიმდინარე წლის IV კვარტალში, განხორციელდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებული დევნილი ოჯახებისათვის გადაცემულ მრავალბინიან შენობებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შექმნის ხელშეწყობის საპილოტე პროგრამა. დევნილთა განსახლებულ ობიექტებში *ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შექმნის ხელშეწყობის* პროგრამის (პროგრამული კოდი 11 03) განხორციელებისათვის სამართლებრივი საფუძვლების შექმნის მიზნით, „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის 2.6. ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, შემუშავდა მინისტრის ბრძანება, რომლითაც განისაზღვრა *დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ ობიექტებში, ბინათმესაკუთრეთა* ამხანაგობის შექმნისათვის საჭირო ნოტარიული მომსახურების დაფინანსების წესი. ასევე, კომისიის შექმნა, კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება და სხვა პროცედურული საკითხები, რამაც შემდგომში შესაძლებელი გახადა, დევნილთათვის გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში, შეიქმნას ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები და შესაბამისად მისცეს მათ მიიღონ მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის სიკეთეები, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

*აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით აღნიშნული პროგრამის განხორციელებისათვის გათვალისწინებული* ***2000*** *ლარიდან დაფინანსდა* ***45*** *განაცხადი* ***1 992, 05*** *ლარით. ხოლო, 2020 წლისათვის კი დაგეგმილია დაფინანსების წესში გარკვეული ცვლილებების შეტანა, რაც თავისთავად პროგრამის დაფინანსების გაორმაგებასაც ითვალისწინებს და შესაბამისად განისაზღვრება* ***5 000*** *ლარის ოდენობით (****დანართი # 10****).*

დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ ობიექტებში, რომლებიც საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად, გრძელვადიან საცხოვრებელ ფართებად გადაეცათ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს-დევნილებს, შექმნილ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის შემდგომი განვითარება ფრიად მნიშვნელოვანია. კომპაქტურად განსახლებული დევნილი მოსახლეობისათვის ბინათმესაკუთრეთა და სამეზობლო ამხანაგობების დაფუძნების გზით ადგილობრივ თემებში ინტეგრაციის, დევნილთა განსახლების ობიექტებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების შექმნის ხელშეწყობის, მათთვის გადასაცემი საერთო სარგებლობის ფართების იდენტიფიცირებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის გადაცემული საერთო სარგებლობის ფართებზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მათი საკუთრების უფლების რეგისტრაციის აუცილებლობა გამოიწვევს ურბანული პოლიტიკის, განსახლების პირობების გაუმჯობესებისა და ადგილობრივ თვითმართველობებთან ადაპტირებას. საერთო სარგებლობის ფართების იდენტიფიცირება (საერთო სარგებლობის ფართების აზომვითი ნახაზები), უმეტეს შემთხვევებში, ფერხდება დევნილებში ფინანსური რესურსების არ არსებობის გამო. შესაბამისად, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აღნიშნული სოციალური საპილოტე პროგრამის დაფინანსების შესახებ (**25 000** ლარი), რაც დევნილ მოსახლეობას მისცემს საშუალებას შეუზღუდავად და თანაბრად მიიღონ მონაწილეობა თვითმართველობის, ტერიტორიული ორგანოებისა და დონორი ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელ სოციალურ-ეკონომიკურ პროექტებში.

დევნილთა დასაქმების მიზნით, დეპარტამენტის მიერ სისტემატურად ხდება კოლექტიურ ცენტრებში განსახლებული დევნილების ინფორმირება, ქ. თბილისის საწარმოებებსა და დაწესებულებებში არსებული ვაკანსიების შესახებ (hr. gov. ge საშუალებით).

სისტემატურად ხდება ქ. თბილისში დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში არსებული შენობების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა (სახურავი, ელ.გაყვანილობა, წყალმომარაგება, საკანალიზაციო სისტემა და სხვა) და შესაბამის ბაზაში განახლებული ინფორმაციის ჩატვირთვა აღნიშნული ობიექტების შესახებ.

დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. თბილისში ჩატარებულ დევნილთა ფორუმში, რომელიც ერთობლივად ჩაატარეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა და კონსორციუმმა „სამართლებრივი დახმარება - საქარეთველო“. ფორუმზე ჩამოყალიბდა ის ძირითადი რეკომენდაციები, რომელსაც ფორუმის ორგანიზატორები წარუდგენენ ქვეყნის მთავრობას და სხვა დაინტერესებულ მხარეებს.

დეპარტამენტის ინიციატივითა და ორგანიზებით, 2019 წლის 18 დეკემბერს ევროპის უნივერსიტეტის ენებისა და კულტურის ცენტრსა (**EULCC**) და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტოს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის თანახმადაც დაისახა მხარეთა პროფესიული და ინფორმაციული რესურსების გაერთიანება. განისაზღვრა თანამშრომლობის შემდგომი სფეროები: სემინარების, კონფერენციების, კონკურსებისა და ერთობლივი ღონისძიებების ჩატარება. მოეწყო შეხვედრა ევროპული ინსტიტუტის პრეზიდენტს ბატონ **ჰარალდ ქრისტიან ჰორნუნგთან** და ევროპული ენების ინსტიტუტის საერთაშორისო პროფესიული განათლების პროგრამის ხელმძღვანელ **თეა ფეტალავასთან**, რის შემდეგაც ერთობლივად დაიგეგმა 18 დან 30 წლის ჩათვლით, აფხაზეთიდან დევნილი, სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების გერმანიაში არსებულ, ანაზღაურებად სტაჟირებაზე გაგზავნა.

ქალაქ თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ხელმძღვანელობის კეთილი ნებითა და დეპარტამენტის ინიციატივით, აფხაზეთიდან დევნილი სოციალურად დაუცველი **30** მოზარდი 6- დან 18 წლის ჩათვლით, უფასოდ იმეცადინებს ინგლისურში, მათემატიკაში, ხატვაში, ვოკალსა და ქართულ ცეკვაში. დაწყებულია ერთობლივ პროექტზე მუშაობა, რომელიც ითვალისწინებს მოსამზადებელი ჯგუფის შექმნას, სადაც უფასოდ მიიღებენ სწავლა-განათლებას აფხაზეთიდან დევნილი სოციალურად დაუცველი მოზარდები, არ იქნება შეზღუდული მოსწავლეთა რაოდენობა.

დეპარტამენტის მხრიდან დაგეგმილია მემორანდუმის გაფორმება სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრთან. ხელმძღვანელობასთან შეხვედრაზე შედგა შეთანხმება, რომ მოხდება ყოველი სპექტაკლის პრემიერაზე, გარკვეული რაოდენობის სოციალურად დაუცველი, აფხაზეთიდან დევნილი მაყურებლის უფასოდ დასწრება. ანალოგიური ტიპის მემორანდუმის გაფორმება შედგა თბილისის მოზარდ-ახალგაზრდობის თეატრთან. ასევე, დეპარტამენტის ორგანიზებით, დაგეგმილია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დიდუბის გამგეობასა და სამინისტროს შორის გაფორმდეს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი.

აფხაზეთიდან დევნილ მოქალაქეებზე ორიენტირებული ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფისათვის, 2019 წელს აუცილებელი გახდა *აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის* დევნილთა საქმეების დეპარტამენტისა და *აფხაზეთის ავტონომიური*

*რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელება, შესაბამისი სტრუქტურების მიზნებისა და ფუნქციების, პროფესიულ საჯარო მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობების ახლებური განსაზღვრა და ჩამოყალიბება. რეორგანიზაციის პირველი ეტაპის შედეგად, სამინისტროს საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრა* ***38*** *(45), ხოლო სამეგრელო-ზემო სვანეთის, აღმოსავლეთ საქართველოს, იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებში - აღმოსავლეთი* ***33*** *(48), იმერეთი* ***20*** *(25), სამეგრელო-ზემო სვანეთი* ***30*** *(47) ერთეულით.* აღნიშნულის მიზანი გახლდათ აფხაზეთიდან დევნილ მოქალაქეებზე ორიენტირებული ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფა. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა ფუნქციონალური, ასევე, სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება.

*ამ ეტაპზე,* ინსტიტუციური ცვლილებების, სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფისათვის, მიმდინარეობს რეორგანიზაციის მეორე ეტაპი, რომელიც მიზნად ისახავს მოქნილი და ეფექტური (სისტემური) მმართველობის განხორციელებას, რაც დაწესებულებას მისიის თავსებადი სტრუქტურული წყობისა და ფუნქციების, საჯარო მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობების ახლებური განსაზღვრისა და ჩამოყალიბების საშუალებას მისცემს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტროს, აუცილებლობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიაჩნია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების ხარისხის გაზრდის მიზნით (სამუშაო პირობების გაუმჯობესების კუთხით), 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტში დაგეგმილი ცვლილებების დროს, მაქსიმალურად გავითვალისწინოთ შესაბამისი ხარჯები. ამასთანავე, გვინდა გავამახვილოთ ყურადღება იმ ძირითად საკითხებზე, რომელზეც აუცილებელია აფხაზეთის ა/რ მთავრობის რეაგირება.

წარმომადგენლობების რეგიონულ ოფისებთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს და იმერეთის რეგიონის წარმომადგენლობების ოფისებს ესაჭიროება გარკვეული სახის სარემონტო სამუშაობის ჩატარება. რაც შეეხება სამეგრელო-ზემო სვანეთის წარმომადგენლობას, საკითხი კვლავ აქტუალურია - შეიძლება ითქვას, რომ ოფისი საერთოდ არ ექვემდებარება საჯარო დაწესებულების ფუნქციონირებისათვის ელემენტარულ მოთხოვნებს. შესაბამისად, აუცილებელია უფრო მეტი ძალისხმევა, რათა დროულად იქნას მოძიებული შესაბამისი შენობა, რათა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობის საქმიანობა გახდეს უფრო ეფექტური, გაუმჯობესდეს პროფესიული საჯარო მოხელეების სამუშაო პირობები და დაკისრებული მოვალეობების შესრულების ხარისხი.

რაც შეეხება ავტომანქანების საკითხს - იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (**2** ერთეული), აღმოსავლეთ საქართველოსა (**2** ერთეული) და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებში (**2** ერთეული) არსებული ავტოპარკი მთლიანად ამორტიზირებულია და ექვემდებარება ჩანაცვლებას. კერძოდ, წარმომადგენლობების ბალანსზე რიცხული ავტომობილები ამორტიზირებულია და ვერ აკმაყოფილებს მოძრაობის უსაფრთხოების მოთხოვნებს, ხოლო მათი შემდგომი ექსპლუატაცია მოითხოვს ძვირადღირებულ სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას. ამასთანავე, ვერც ერთი ავტომობილი, ჩვენი ვარაუდით, ვერ გაივლის სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ

დათვალიერებას, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად აფერხებს/შეაფერხებს წარმომადგენლობების სამსახურეობრივი ფუნქციების შესრულებას. წარმომადგენლობების რეგიონულ ოფისებთან დაკავშირებით, მოგახსენებთ, რომ იმერეთის რეგიონის წარმომადგენლობის ოფისს ესაჭიროება მცირე კოსმეტიკური რემონტი და ელექტროგაყვანილობის მოწესრიგება.

- ქ.თბილისში, ვახუშტის ხიდთან, გრძელდება ილორის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მშენებლობა, რომელშიც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა სამთავრობო დაწესებულების თანამშრომლებთან ერთად, ყოველკვირეულად, აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სამინისტროს თანამშრომლები.

2019 წელს სამინისტროში სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, იურიდიული და სხვა სახის კონსულტაცია გაეწია აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ **153** პირს;

- სამინისტროს ,,facebook" გვერდი აქტიურად ფუნქციონირებს და აშუქებს სამინისტროსა და აფხაზეთის სხვა სამთავრობო სტრუქტურების მიერ დაგეგმილ და გატარებულ ღონისძიებებს, დევნილთა ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით პერიოდულად აწვდის იძულებით გადაადგილებულ პირებს, საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონებს, ნორმატიულ აქტებსა და ინფორმაციებს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამების შესახებ. 2018 წლის დეკემბრის თვიდან სამინისტროს შესაბამისი სამსახური აქტიურადაა ჩართული აფხაზეთის ა/რ მთავრობის ერთიანი საინფორმაციო პორტალის საქმიანობაში.

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტროს **2019 წლის** ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 764796.02 ლარი.

მათ შორის:

| | |
|---|---|
| - თანამდებობრივი სარგო | - 526615.29 ლარი; |
| - ჯილდო | -25945 ლარი; |
| - შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | - 78290.47 ლარი; |
| მივლინება ქვეყნის შიგნით | -6559 ლარი; |
| სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | - 8516.20 ლარი; |
| მათ შორის შენობა- ნაგებობების დაცვის ხარჯი | - 1740 ლარი; |
| სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯი | - 5626.20 ლარი; |
| კადრების მომზადება-გადამზადებასთან დაკავშირებული ხარჯი | - 1150 ლარი; |

- ოფისის ხარჯი - 36013.54 ლარი. კომუნალური ხარჯი 11344.34 ლარი. მ.შ, ელექტროენერგიის ხარჯმა შეადგინა 4741.15 ლარი, წყლის ხარჯი 2151.73 ლარი, ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯი 3251.46 ლარი, შენობა-ნაგებობების და მათი მიმდინარე ტერიტორიების მოვლა /დასუფთავების ხარჯი 1200 ლარი.

კავშირგაბმულობის ხარჯმა - 9577.65 ლარი; საფოსტო ხარჯმა - 159.70 ლარი; საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა -2346.88

ლარი; ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთის შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯები - 1454 ლარი; კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯი - 1000 ლარი; მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი - 2314.48 ლარი; საოფისე ინვენტარის შეძენა -3857.75 ლარი; ოფისისთვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯი- 554 ლარი; საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა - შენახვის , ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი -2040 ლარი.

წარმომადგენლობითი ხარჯი- 1243.47 ლარი.

- ტრანსპორტის შენახვისა და მოვლის ხარჯი - 14772.72 ლარი. მათ შორის საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი - 10342.72 ლარი, ა/მ მიმდინარე რემონტი 1751 ლარი, ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი - 2679 ლარი.

სხვა ხარჯი - 8701.12 ლარი:

მ.შ მოსაკრებელი - 604.44 ლარი; სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯი - 1770 ლარი;

სხვა დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული (ესპანეთი) – 6323.68 ლარი.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან გახარჯულია 53490.77 ლარი, მ.შ. აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა და მატერიალური დახმარების სახით გაცემულია 9 ოჯახზე 9325 ლარი, დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება - 44165.77 ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდა - 6013.18 ლარი.

პროგრამების ხარჯი :

დევნილთა ჩასახლების ობიექტებში სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფის პროგრამა (1102)- 144173.99 ლარი;

აფხაზეთიდან დევნილთათვის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ ობიექტებზე ბინეთმესაკუთრეთა ამხანაგობების შექმნის ხელშეწყობის პროგრამა (1103)-1992.05 ლარი.

- საანგარიშო პერიოდში სამინისტროში შემოსულია 1513 კორესპონდენცია. სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ იქნა 525 ბრძანება. გაფორმებულია 18 შრომითი და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ-87 ხელშეკრულება. გაცემულია 30 სხვადასხვა სახის ცნობა. მინისტრთან ჩატარებულია 43 თათბირი. სხვადასხვა უწყებაში გადაგზავნილია 890 კორესპონდენცია. (დანართი #11)